Shermadin Sharia, Bedia Monastery Complex, Tbilisi, 2021

შერმადინ შარია, ბედიის სამონასტრო კომპლექსი, თბ., 2021.

Goneli Arakhamia
Doctor of Historical Sciences,
Georgian National Academy of Sciences,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995)595094392; goneli.araxamia@gmail.com

Abstract

The given scientific – popular book, as the title suggests, is dedicated to the history of a prominent monument of Georgian cultural heritage, Bedia Cathedral and the monastery complex established around it. The paper has not only cognitive but also social significance, as this great monument of Georgian Christian culture is located in the territory of occupied Abkhazia.

The aim of the book is to introduce the history of the monument from the day of its foundation (end of the X century) until now. The structure of the paper is also relevant to the aim and includes all the main aspects of the adventures related to the monastery.

The book contains and analyses the vast material such as written sources and scientific literature available today about the Bedia Monastery complex, which, for obvious reasons, are scattered in various publications and are less accessible to the general public interested in this monument. The value of the book under consideration and the author's merit is that everything the generations of historians, philologists, art critics, archeologists, and epigraphists had created is gathered and organized here.

გონელი არახამია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ORCID ID: 0000-0003-4892-714X
(+995)595094392; goneli.araxamia@gmail.com

დასახელებული სამეცნიერო-პოპულარულ წიგნი, როგორც სათაური გვაუწყებს, ქართული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ძეგლის ბედიის ტაძრისა და მის ირგვლივ ჩამოყალიბებული სამონასტრო კომპლექსის ისტორიას ეძღვნება. ნაშრომს არა მარტო შემეცნებითი, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც ქართული ქრისტიანული კულტურის ეს დიდი ძეგლი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზეა.

წიგნის მიზანია წარმოადგინოს ძეგლის ისტორია დაარსებიდან (X ს. მიწურული) დღემდე. ნაშრომის სტრუქტურაც მიზნის შესაბამისია და მოიცავს მონასტრის თავგადასავლის ყველა ძირითად ასპექტს.

წიგნში მოხმობილი და გაანალიზებულია ბედიის სამონასტრო

კომპლექსის შესახებ დღეისათვის არსებული დიდძალი მასალა - წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებიც, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, სხვადასხვა გამოცემებშია მიმობნეული და ნაკლებად მისაწვდომია ამ ძეგლით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. განსახილველი წიგნის ღირსება და ავტორის დამსახურება ისაა, რომ აქ ერთადაა თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილი ყველაფერი ის, რაც ისტორიკოსების, ფილოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, ეპიგაფიკოსების თაობებს შეუქმნიათ უკანასკნელი ორი ასწლეულის მანძილზე.

წიგნი რამდენიმე ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში გადმოცემულია კომპლექსის მთავარი ტაძრის, წმ. ღვთისმშობლის ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესიის აგების ისტორიული ფონი. ქტიტორის, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (975-1014) პოლიტიკური მოღვაწეობის კონტექსტში წარმოჩენილია ტაძრის, როგორც გაერთიანების გზაზე მტკიცედ შემდგარი საქართველოს სიმბოლური გამოხატულება. შემდეგ მოცემულია აღნიშნული ტაძრის არქიტექტურული დახასიათება (მოხატულობა, საკურთხეველი, დეკორატიული მორთულობა), ასევე ნაჩვენებია ტაძრის რეკონსტრუქციისა და განახლების ეტაპები (XIII-XIV სს. და XVI XVII სს.).

ამას მოსდევს სამონასტრო კონპლექსის შემადგენელი კომპონენტების: კარიბჭე-სამრეკლოს (XIII-XIV სს. მიჯნა), საეპისკოპოსო სასახლე (XVI ს. I ნახევარი), გალავნის, XX ს. დასაწყისში აგებული წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. იოანე მახარებელის ეკლესიების ვრცელი მიმოხილვა.

ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ბედიის მონასტერში დავანებული წმ. ნაწილების, წმ. ხატებისა და სხვა რელიქვიების შესახებ. დიდი ადგილი ეთმობა ტაძრის მთავარი სიწმინდის, ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის ხატისა და წმ. ღვთისმშობლის სარტყელის თავგადასავალს, აგრეთვე, ქართული ჭედური ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშის - ბედიის ბარძიმის აღწერილობას.

ნაშრომში წარმოდგენილია სამონასტრო კომპლექსის ეპიგრაფიკული ძეგლები, სახელდობრ, კედლის ლაპიდარული და ფრესკული, აგრეთვე, ბარძიმსა და ჯვარ-ხატებზე ამოკვეთილი ჭედური წარწერები. საგანგებო ყურადღების საგანია ქართული საეკლესიო ლიტურგიკული კრებული ბედიის გულანი (XVI ს.), მკითხველი დეტალურად ეცნობა ქართული ხელნაწერული მემკვიდრეობის ამ ძვირფასი ძეგლის შექმნის ისტორიას, დანიშნულებასა და მასში თავმოყრილ საღვთისმეტყველო თხზულებებს.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ბედიის ტაძრის კედლის მხატვრობაზე, რომლის ბრწყინვალე ნიმუშების გარკვეული ნაწილი დღემდე შემოინახა, დიდი ნაწილი XIX საუკუნემდე დაზიანდა ან განადგურდა. დაწვრილებით არის მიმოხილული ქტიტორების, წმინდანების გამოსახულებები და კომპოზიციები.

ცალკე თავი ეძღვნება ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრებსა და ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიას XI-XVIII სს.

ავტორის განხილვის საგანია XV-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური და ეთნოდემოგრაფიული პროცესები, რომელმაც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ჯიქეთი, აფხაზეთი) მნიშვნელოვნად შეარყია ქართული სახელმწიფოსა და ქრისტიანული ეკლესიის პოზიციები. ამ ფონზე ნაჩვენებია ბედიისა და რეგიონის სხვა ქრისტიანული კულტურის კერების მძიმე ხვედრი.

წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა ბედიის ტაძრის მდგომარეობას XIX საუკუნეში, როდესაც დამპყრობელმა რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ავტორი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმპერიის კოლონიური პოლიტიკისა, ქართველი საეკლესიო და საერო მოღვაწეები ძალას და ენერგიას არ იშურებდნენ ბედიის ტაძრის ასაღორძინებლად და გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ.

ცალკე საგანგებო თავში განხილულია XVII-XVIII სს. უცხოელი მისიონერებისა და მოგზაურების ცნობები ბედიის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ისტორიის წარმოსაჩენად. იმავე თავში ვრცლად არის წარმოჩენილი XIX ს. მკვლევარებისა და სიძველეთმცოდნეების (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. პავლინოვი, ნ. კონდაკოვი და სხვ.) დამსახურება ტაძრის ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესწავლის საქმეში.

ავტორი საინტერესოდ გვიხატავს ბედიის ასაღორძინებლად მცირერიცხოვანი ქართველი მოწესეების მეთოდურ და მედგარ ბრძოლას, რასაც ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ 1913 წ. ბედიაში მამათა მონასტრის გახსნა მოჰყვა, ხოლო ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წ. 12 მარტი) შემდეგ, როდესაც ცხუმ-ბედიის საეპისკოპოსოს შეიქმნა, ბედიის მამათა მონასტერი დედათა მონასტრად გარდაიქმნა.

ავტორი ეხება ბედიის მონასტრის მდგომარეობას საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921 წწ.).

აღწერილია ბედიის მონასტრის მძიმე ბდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რაც მონასტრის დარბევასა და შემდეგ დახურვაში (1929 წ.) გამოიხატა.

წიგნში დეტალურადაა აღწერილი ბედიის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის მოსამზადებელი ოცწლიანი კვლევის (რომელიც აკად. გ. ჩუბინაშვილმა დაიწყო გასული საუკუნეების 30-იანი წლების ბოლოს) შედეგები, რაც საფუძვლად დაედო 1952-1953, 1968-1969 და 1976-1977 წწ. სარესტავრაციო სამუშაოებს, რამაც ძეგლი განადგურებას გადაარჩინა. ნაჩვენებია მონასტრის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებიც.

ავტორი გვიხატავს ძეგლის მძიმე მდგომარეობას ოკუპაციის პირობებში, როდესაც ოკუპანტების მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტული ხელისუფლება ემზადება მისი „რესტავრაციისათვის“, რაც, განხორციელების შემთხვევაში, იგივე ხვედრს უმზადებს მას, რაც უკვე წილად ხვდა სეპარატისტების მიერ „რესტავრირებულ“ ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლებს (მაგალითად, ილორს) - ესაა მხატვრული იერსახის მიზანმიმართული შეცვლა და კულტურული იდენტობის ფალსიფიკაცია.

წიგნში უხვადაა წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა (ფოტოები, ნახაზები).

ათასწლოვანი ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრული განვითარების გზები ნაჩვენებია ოდიშ-აფხაზეთის ძირძველი ქართული რეგიონების კულტურული აღმავლობის თუ დაქვეითების, რთული პოლიტიკური თუ ეთნოდემოგრაფიული პროცესების მრავალწახნაგოვან კონტექსტში, რითაც ავტორმა ბედიის ტაძრის ქვებიც კი „აამეტყველა“ ქართული ენისა და კულტურის, ქართველი ერის ისტორიულ უფლებაზე იმ მხარეში, რომლის შუაგულშიც აღმართულა დროებით ობლად დარჩენილი ერთიანი საქართველოს სიმბოლო.